№ 2705
სამშაბათი,
21 დეკემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2705
სამშაბათი,
21 დეკემბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი" წელიწადი მეათე
სურათებიანი დამატებით.

კავკასიაში და რუსეთში ერთის წლით 6 მან.

ფასი გაზეთისა გაგზავნით
წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც პირველ მარტამდე.

საზღვარ გარედ ერთის წლით 9 მან.

ყოველ თვიური ჟურნალი „მოამბე" წელიწადი მეთორმეტე

კავკასიაში და რუსეთში 1 წლით 10 მან. ცალკე №—1 მან.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით
ვინც „მოამბე"-ს მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი"

საზღვარ გარედ ერთის წლით 13 მან. ცალკე №—1 მ. 20 კ.

◆ უფასოდ გაიგზავნება ◆

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის", ისე „მოამბის" მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

დონ-კიხოტი

დორეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (300 სურათით) პრემიად დარიგებულ
ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1905 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრედვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით. პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარეთ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის" წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

მასალები საქართველოს ისტორიისათვის

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის" ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: ვანქის დიდი ქუჩა, ქართ. ამხ. სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе"-„Цнобисъ Пурцели".

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.

სამშაბათს, 21 დეკემბერს 1904 წელს დაჭრილ და მოკლულ მეომართა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება: „აიდა" ოპერა 4 მოქმ. მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ტულლერი, ბუნაკოვა; ბ-ნნი: რიბაკოვი, კომაროვი, გალეცკი, ზალინსკი, ბაგროვი, მურატოვი.

კაპელმეისტერი მიკლაშევსკი
ფასები დაკლებულია.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
21 დეკემ.—„მანონი".
გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.

მ. გ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.

ლ. ი. კიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ. და ხუთშაბათ.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. **ქალი მ. კ. იოსელიანი.**—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა, (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით. 1—2 საათამდე.

მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა—2—3 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.

ბრ. **მ. სოგოლევსკი.**—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკეობით 1—2 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველ დღე გარდა კვირისა.—5—6 საათ.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

იღებს სიფილისით და ვენერიულ სნებით ავადმყოფებს. დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—27)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი

შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—7 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—29).

ექიმი
ი. ა. გოკიელოვი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, კანის, შიგნეულის და ნერვების. მიხაილოვის ქ. № 149. საკ. სახლი. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათამდე.

ექიიმი
ა. ნ. თეთრაძე

სუდებნაია, სახლი № 24. აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—636—26)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი

მიიღებს ბავშვების და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე 12—1. და საღამოთი 6—8 საათამდე. ელისაბედისქუჩა, № 160. (თვ.—6)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

კოლანოვის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 792.

კბილის ექიმი
ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 საათამდე და 5—7-მდე. კვირაობით 12 საათამდე. გოლოვინის პროსპ. სახლი დივნისა № 12. „კრუჟოკის" გვერდით. (30—6.—8)

ექიმი
ი. ე. გამბურგერი

გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიოგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (30—365—26

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი

იღებს ყოველ გვარ კბილის სნეულებით ავადმყოფებს: სწამლობს კბილებს, უკეთებს პლომბებს და უსხამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. მიიღებს 9—2 ს. და 4—7 საათ. მიხეილის პროსპექტი, № 30. მანველოვის სახლში. (30—399—16)

ექიმი
გ. ა. გედალინი

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის კანის და საშარდის, ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე.

გადავიდა მადათოვის ქ., ალექსანდროვის სამლოცველოს პირდაპირ. სახლი მარტიროსიანცის № 15. (30—6)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—7)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".

19 დეკემბერი.

ტოკიო, 19 დეკემბერი „ცენტრალ ნიუზ"-ი იუწყება, იაპონელებმა 18 დეკემბერს დილის 11 საათზე ფორტი სუნშუშანი აიღეს.

ლონდონი, 19 დეკემბერი. იაპონიის საელჩომ გენერალ ნოგის არმიიდან მიღებული დეპეშა გამოაცხადა: „შაბათს, 18 დეკემბერს, დილის 10 საათზე, სუნშუშანის სიმაგრეების ბრუსტვერი (უმთავრესი გალავანი) ავაფეთქეთ; ამის შემდეგ შტურმი მივიტანეთ და დილის 11 საათზე ფორტი ავიღეთ. რუსების ნაწილმა სამხრეთ ფორტისაკენ დაიხია, დანარჩენი დანგრეულმა გალავანმა დაიტანა ქვეშ."

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. რუსეთის ახალ მობილიზაციის თაობაზე ფრანგული გაზ. „ტან"-ი ამბობს, ვერ გაგვიგია, რისთვის დასჭირდა რუსეთს ახალი ჯარის შეკრება, რადგან გენ. კუროპატკინს ამ ჟამად 400 ათასი კაცი ეყოლებაო. („ნ.").

„ბერლინერ ტაგებლატ"-ი სწერს: ცნობა, ვითომ რუსებმა პორტ-არტურთან „ვისოკაია გორა" უკან დაიბრუნესო, ჩინელების მოგონილი იქნებაო („ნ.").

„ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება, ვითომ 10 დეკემბერს პეკინს ახლო რკინის გზის სადგურზე სამი მილიონი ყუმბარა ეპოვოთ სხვა-და-სხვა ყალიბისა. ეს ყუმბარა ერთი რუსის ფირმის სახელობაზე ყოფილა გამოგზავნილი. კორესპონდენტი ჰფიქრობს, ეს ყუმბარები, ალბად, პორტ-არტურისათვის იყო დანიშნულიო. ეს სამხედრო სურსათი კალგანით (მონგოლშია) მოეტანათ აქლემების ქარავნებით. („რ.").

„დეილი მეილ"-მა გრძელი წერილი დაბეჭდა ამ სათაურით „დინამიტი რუსეთისათვის მდ. ტემზაზე". გაზეთი სწერს: ამას წინად ყურადღება მიაქციეს, რომ ინგლისის გემები ქვანახშირს უზიდავენ რუსეთსაო. ინგლისის მთავრობამ აკრძალა ნეიტრალიტეტის დარღვევა და ქვა-ნახშირის ზიდვა რუსეთისათვის, მაგრამ ვერას გახდა. ნამდვილად-კი ლონდონის თვალწინ ამ უკანასკნელ თვეებში გაცილებით უფრო სე რიოზული ვაჭრობა სწარმოებს და დინამიტი, პიროქსილინი, ასაფეთქებელი ყუმბარა და სხვა სამხედრო სურსათი ათას ტონობით გაიტანეს ლონდონის ხიდ ქვეშ გემებით და შორეულ აღმოსავლეთს წაუღეს რუსეთს. თუმცა ამ მასალით ვაჭრობა აკრძალულია, მაგრამ მთავრობა, ეტყობა, აქამდე ვერას ხდება და ბოლოს ვერ უღებს ამ ვაჭრობას. გემები ამ საშინელ სამხედრო სურსათ მშვიდობიან ნავების გვერდზე გაატარებენ ხოლმე და შემთხვევით ოდნავ რომ დაეჯახნენ ნავებს, შეიძლება საზარელი უბედურება დატრიალდესო. („რ.").

განხთქმულ ნორვეგიელ მწერალს ბიერნსტერნე ბიორნსონს დაუწერია „ბერლინერ ტაგებლატ"-ში, დროა რუსეთი და იაპონია შეარიგონ სახელმწიფოებმაო. („ნ. დ.").

სუნშუშანის აღება. იაპონიის საელჩოს ლონდონში გამოუცხადებია: „გენ. ნოგის არმიიდან იუწყებინ, 18 დეკემბერს დილის 11 საათზე სუნშუშანის ფორტი ავიღეთო". სუნშუშანი პორტ-არტურის ჩრდილოეთით მდებარეობს და ჩრდილოეთ ფრონტის ფორტებს ეკუთვნის. ზოგ კარტაში რკინის გზისა და მდინარე ლუნხეს ხეობის აღმოსავლეთითაა ნაჩვენები, ერლუნგშანის ფორტის სამხრეთით, ზოგს კარტაში რკინის გზასა და მდ. ლუნხეს ხეობის დასავლეთით, ერლუნგშანის ფორტის გასწვრივაა ნაჩვენები. ასე რომ სწორედ არ იციან, რკინის გზის დასავლეთით მდებარეობს ეს ფორტი, თუ აღმოსავლეთით, მაგრამ ის კი ნამდვილად იციან. რომ სუნშუშანი ჩრდილოეთ ფორტების შუა გულში მდებარეობს, ერლუნგშანის ახლო და მეტად მნიშვნელოვანი ფორტია. სუნშუშანისა და ერლუნგშანის აღებით, იაპონელებმა ორად გაჰყვეს პორტ-არტურის ფორტები და ციხის აღმოსავლეთი ნაწილი დასავლეთ ნაწილს მოსწყვიტეს, ერთის ნაწილიდან მეორეში გადასვლა მეტად გაუძნელეს რუსის ჯარს. სუნშუშანიდან გენ. ნოგი დასავლეთ ფორტებს ანცზეშანსა, იტცუშანსა და ვანტაისაც გვერდიდან დაუშენს ზარბაზანს და საქმეს გაუჭირვებს, მით უმეტეს, რომ ამ ფორტებს იაპონელები დასავლეთ მხრიდანაც, ვისოკაია და 203 მეტრიან გორებიდანა და ამ გორებიდან აღებულ პოზიციებიდანაც დაუშენენ ზარბაზანს. სუნშუშანიდან, ერლუნშანიდან და ჩრდილოეთ კიკვანშანიდან იაპონელები აღმოსავლეთ ფორტებს (სამხრეთ კიკვანშანს, პეილუშანს და სხვა) და მეორე რიგ ფორტებსაც (მწყრის გორას, ორლინაია გორას და სხვებს) დაუშენენ ზარბაზანს და იმათ შტურმსა და აღებას გაიადვილებენ... ერთის სიტყვით, ამ ბოლო დროს პორტ-არტურთან მეტად სწრაფად მიდის საქმე და ყოველ ფორტის აღებას სხვა ფორტის აღება მოსდევს... („ლ.").

ჩრდილოეთ კიკვანშანის აღება. ინგლისელი კორესპონდენტები დეპეშით იუწყებიან გენ. ნოგის არმიიდან: კიკვანშანის ფორტის შტურმის ხელმძღვანელობა დივიზიის უფროსს გენერალს მიანდეს. გენერალი სრულის საპარადო ფორმით ყველა ორდენითა და მედლით მივიდა შტურმის მისატანად დანიშნულ რაზმთან. გენერალი მოწინავე ბატალიონის წინ დადგა და ხმალზე დაიფიცა, ან ფორტს ავიღებ, ან მოვკვდებიო. ფრონტიდან (წინიდან, შუბლიდან) შტურმის მიტანა სიგიჟე იყო, რადგან რუსის ტყვიის მტყორცნელები ცეცხლივით აფრქვევდნენ ტყვიას, მაგრამ მით მაინც თითო-თითოდ წინ გაქანდნენ და მთელი რაზმი გადმოწოლილ გალავანთან შეიკრიბა.—შტურმის წინ იაპონელებმა დინამიტით ააფეთქეს ფორტის ბრუსტვერი (უმთავრესი გალავანი).—ფორტი ხუთის საათის ბრძოლის შემდეგ აიღეს. ფორტის დამცველი რაზმი (რუსები)—დაახლოვებით 300 კაცი—თითქმის სულ ამოსწყვიტეს. შტურმის მიმტან იაპონელებს შავ მუნდირებს ზემოდ ლურჯი მატყლის პალტოები ეცვათ და თოფისა, პატრონის, აბგისა და ხელით სასროლ ყუმბარების გარდა, ზედ სხვა არა ჰქონდათ-რა. ყველამ იცოდა, რომ სიკვდილი ელოდათ და ყველას წინადვე მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა, თავი დავდოთ, ოღონდ ფორტი კი ავიღოთო. („ნ. დ.").

მტრედის ბუხტის წინ პოზიციების აღება. როგორც დეპეშებიდან ვიცით, იაპონელებმა დეკემბრის დამდეგს პორტ-არტურთან მტრედის ბუხტის წინ რამდენიმე სიმაღლე აიღეს და რუსის მეციხოვნე ჯარს უკან დაახევინეს.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ი ჰფიქრობს, მტრედის ბუხტასთან რამდენისამე სიმაღლის აღებას დიდი მნიშვნელობა აქვსო. („ნ.").

„რუსკია ვედომოსტი"-ს სამხედრო მიმომხილველი ბ. ს. კ. სწერს: იაპონელებმა მცირე ზარალით აიღეს პოზიციები მტრედის ბუხტასთან; ალბად, ეს პოზიციები განსვენებულ ადმ. მაკაროვის გამაგრებული ბატარეები იყო. ამ პოზიციების აღებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამას იქით პორტ-არტურის მეციხოვნე ჯარს მტრედის ბუხტის გზა ექნება მოჭრილი და სურსათის მიღება უფრო გაუჭირდება; ჯონკებს ეხლა მხოლოდ პორტ-არტურის გარე რეიდზე-ღა შეუძლიანთ მისვლა.

კორეიაში. „დეილი ტელეგრაფ"-ს დეპეშით ატყობინებენ სეულიდან: ამ ბოლოს დროს ჩრდილოეთ კორეიაში იაპონელებმა ბევრ შეტაკებაში გაიმარჯვესო. რუსის მოწინავე რაზმების უფროსს გენერალს მთავარი სადგომი მდ. იალუს სათავეს ახლო ერთ სოფელში აქვს გამართულიო. იაპონიის ჯარის (კორეიაში) უფროსის გენ. ხაზეგავას მთავარ სადგომიდან ტელეფონი გაყვანილი კორეის იმპერატორის სასახლემდე.

სეულიდან ატყობინებენ „ნიუ-იორკ ჰერალდ"-ს: იაპონიის მეციხოვნე ჯარი სეულში ძლიერ შეაცოტავეს; ჯარი ჩრდილოეთისაკენ მიდის. მდ. იალუს შესართავი და ჩინამპოს ნავთ-სადგური გაიყინა. იაპონელები ყინულზე ტრამვაის აშენებას აპირობენ კუნძულებამდე, რომ სატრანსპორტო გემებიდან მიღებული საქონელი გადაიტანონ ხოლმე ნაპირზე. („ნ. დ.").

იაპონიის ფლოტის მოქმედება. „დეილი მეილ-"ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონიის გემები „ნიპანი" და „გონკონგი"—ეს გემები კრეისერებადაა გადაქცეული—სინგაპურს გასცდნენ და ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის დასახვედრად წავიდნენო. ორივე გემს 6,160 ტონა წყალ-წყვა აქვთ თითოს და საათში 17 მილს გადიან; გემებს დიდძალი ნაღმი მიაქვთ თანა და რუსის ესკადრის გასავლელ გზაზე ჩააწყობენ ამ ნაღმებსაო. („რ.").

„ფრანკფურტერ ცაიტუნგ"-ი იუწყება: ხმა დადის, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის მოსატყუებლად იაპონიის სანაპირო კანდელები 700 მეტრის მანძილზე გადაიტანეს წინანდელ ადგილებიდანაო. („ნ. ქ.").

გულის ინციდენტი. როგორც დეპეშებიდან ვიცით, ადმ. როჟესტვენსკის ესკადრიდან კიდევ 4 აფიცერი წასულა პარიზში. „მატენ"-ის კორესპონდენტს ერთი ამ აფიცერთაგანი, ტრანსპორტ „კამჩატკა"-ს მენაღმე აფიცერი, ლეიტენანტი ვალრონტი უნახავს და გულის ინციდენტზე ულაპარაკნია. ვალრონტს უთქვამს, 8 ოქტომბერ ღამეს ელექტრონის პროჟექტორი მე თითონ მივანათე მეთევზეთა ფლოტილიას და კონტრ ნაღმიან-გემებს. რომელ ეროვნებას ეკუთვნოდნენ ეს ნაღმიანი გემები, ძნელი სათქმელია, რადგან ყველა სახელმწიფოს ნაღმიანი გემები ერთმანეთსა ჰგვანან; ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ეს იაპონიის ნაღმიანი გემები იყო, მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს რუსის გემები არ იყო. კორესპონდენტს უთქვამს, კაპიტანი კლადო ირწმუნება, 8 ოქტომბერს ჩემის თვალით დავინახე იაპონიის ნაღმიანი გემებიო. ლეიტენანტ ვალრონტს მიუგია,—მე მაინც ჩემ აზრზე ვდგევარო („ნ. დ.").

„ომის უმთავრესი ასპარეზი მანჯურიაა და არა წყნარი ოკეანე". (გაგრძელება) „ნოვოსტი დნია"-ს სამხედრო მიმოხილველი განაგრძობს: „როგორცა ვსთქვით, ომის უმთავრეს ასპარეზად ის ადგილი ითვლება, სადაც მოპირდაპირის უმთავრესი ძალა დგას. იაპონიის უმთავრეს ძალას არმია შეადგენს და არა ფლოტი. ფლოტი დიდ დახმარებას უწევს არმიას, მაგრამ არმიისთანა მნიშვნელობა მაინც არა აქვს. რომ უსაბუთობა არავინ დაგვაბრალოს, ჩვენის აზრის დასამტკიცებლად ორ დილემას წარმოგიდგენთ:

პირველი—იაპონიის არმია მანჯურიაში დამარცხდა და რუსის არმია ფეხ-და-ფეხ მისდევს ზღვისაკენ, სამაგიეროდ იაპონიის ფლოტი ზღვაში ბატონობს და ზღვის გზა სრულიად თავისუფალია.

მეორე—იაპონიის არმია მედგრად უხვდება რუსის არმიას, ერთ ჩიჩქნა დაჭერილ ადგილს არ უთმობს, სამაგიეროდ ადმ. ტოგოს ფლოტი დამარცხდა და ზღვის გზა მოეჭრა მარშალ ოიამას არმიას.

განა ცხადი არაა, რომ პირველ შემთხვევაში იაპონელები წააგებენ ომსა? რა სარგებლობას მოუტანთ ზღვის გზა, რაღას უშველით ადმ. ტოგო,? არაფერს იმის გარდა, რომ მარშალ ოიამას ჯარს ცოტა რამ დახმარებას თუღა გაუწევს გემებში ჩასხმისა და იაპონიაში გასტუმრების დროს.

სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება, თუ მეორე შემთხვევას გავარჩევთ. ამასთანავე ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ შემთხვევაში იაპონიის არმია მხოლოდ პასიურ წინააღმდეგობას უწევს რუსის არმიას (მაშასადამე იაპონიის არმია რომ თითონ დაეცეს რუსის არმიას და დაამარცხოს, ამ გამარჯვებას ხომ უფრო მეტი გავლენა ექნება ომზე). რა მოხდება მაშინ? გინდ იაპონიის ფლოტი დამარცხდეს, სამაგიეროდ მთელი კორეია და მთელი ლიაოდუნი წინანდებურად იაპონელების ხელში იქნება. რა ნაირად და რით განდევნით იქიდან? საკვები და სამხედრო სურსათი დააკლდებათ? მაგრამ განა შეიძლება სერიოზულად იმისი თქმა, რომ რუსის ფლოტი ბეჯითად დაიცავს ზღვის ნაპირებს რამდენისამე ათას მილის მანძილზე? მგონია, საკმაოდ გამოვარკვიეთ, რომ ეს შეუძლებელი საქმეა. იაპონიის არმია ლიაოდუნსა და კორეიაშიაც ბევრს სურსათს იშოვის. ნუ დაგავიწყდებათ ჩინეთიც. მარშალ ოიამას დღესაც დიდძალი საკვები სურსათი მოსდის ჩინეთიდან. თუ ეს სწორეა, მაშ განა ცხადი არაა, რომ უმთავრესი მნიშვნელობა იაპონიის არმიას აქვს? ერთი და ერთი სამუდამოდ და გარკვევით უნდა შევიგნოთ, რომ ეხლანდელ ომში ის გაიმარჯვებს, ვინც მოწინააღმდეგის არმიას დაამარცხებს, ეხლანდელ ომის ბედი უმთავრესად ხმელეთზე გადასწყდება, იქ, სადაც არმიები დგანან. რაც უნდა ძლიერ ვააზვიადონ უმნიშვნელო ამბები, ამით საქმის ძირითად საფუძველს ვერ შესცვლიან. ტყუილად ოცნებობენ ზოგნი, ვითომ რუსეთი ბრძოლას იაპონიის კუნძულებზე გადაიტანს და ტოკიოს კარებზე „ოლეგის ფარს“ მიაკრავსო (რუსის დიდ მთავარ ოლეგს უწინ კონსტანტინეპოლი აელო და ქალაქის კარებზე თავისი ფარი მიეკრა). ეჭვი არაა ამნაირ პროექტების ავტორები მეტად მწყრალად არიან საღ გონებასთან და სინამდვილეს არაფერ ყურადღებას არ აქცევენ.

ზემო მოხსენებულიდან მგონია, ცხადია, რომ

1. ეხლანდელ ომის უმთავრესი ასპარეზი მანჯურია და ლიაოდუნის ნახევარ კუნძულია.

2. გამარჯვებულად ის ჩაითვლება, ვინც ხმელეთზე გაიმარჯვებს საბოლოოდ.

რედაქციისაგან

ვისაც ჰსურს მომავალ წლის პირველ იანვრიდან გაზ. „ცნობის ფურცელი“ დაუყოვნებლივ მიუვიდეს, მათ უმორჩილესათა ვთხოვთ დააჩქარონ და დროზე დაიკვეთონ აღნიშნული გამოცემა, რათა ადრესები დროზე დამზადდეს.

ქუთაისის, ოზურგეთის, ჭიათურის და თელავის ხელის მომწერთ, რომელთაც ჰსურთ ადგილობრივ რედაქციის აგენტებისაგან მიიღონ გაზეთის ნომრები, ვთხოვთ ხელის მოწერის დროს შეგვატყობინონ თავიანთი სურვილი.

ქუთაისში გაზეთ „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ განყოფილება მოთავსებულია „კოლხიდა“-ში. ყოველივე ცნობისთვის ქუთაისლებმა იქ უნდა მიჰმართონ.

საზღვარ-გარედ

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მუშათა გაფიცვა უცხოეთში. უცხოეთის გაზეთებში გამოქვეყნებულია საინტერესო ცნობები საზღვარ-გარედ 1903 წელს მომხდარ მუშათა გაფიცვის შესახებ. ინგლისში 387 გაფიცვა მომხდარა, რომლებშიაც 116,901 მუშას მიუღია მონაწილეობა. მუშების პირველი მოთხოვნილება, რასაკვირველია, ქირის მომატება იყო. 8 გაფიცვას კეთილი შედეგი მოჰყვა მუშებისათვის, 71-მა მუშებისათვის უნაყოფოდ ჩაიარა და 20 გაფიცვა მუშებისა და მეპატრონეების შორის შეთანხმებით დასრულდა. საზოგადოდ კი ყველა გაფიცვათა მესამედი კეთილად დასრულდა მუშებისათვის.

გერმანიაში 1904 წელს 1,379 გაფიცვა მოხდა 7 ათას ქარხანაში. 85,603 მუშამ მიიღო მონაწილეობა. გაფიცვათა მთელი რიცხვის მეოთხედი მუშების სასარგებლოდ დასრულდა.

საფრანგეთში იმავე წელს 567 გაფიცვა იყო, რომელშიაც 123,151 მუშა ერია. იქაც უპირველესი მოთხოვნილება მუშებისა—ქირის მომატება იყო. 69 გაფიცვის დროს მუშები თხოულობდნენ მათთვის არა-სასიამოვნო ოსტატების დათხოვნას. 47 გაფიცვის მოთხოვნილება—სამუშაო დროს შემცირება იყო. საფრანგეთში მომხდარ გაფიცვათა მეოთხედი ნაწილი მუშებისათვის სასარგებლოდ დასრულდა. 1902 წ. 2 დეკემბერს გამოცემული კანონი მუშებისა და მეპატრონეების შორის სამშვიდობო შუამავლობის შესახებ 122-ჯერ გამოიყენეს საფრანგეთში. 93 გაფიცვაში გაერია სამშვიდობო კომიტეტი და 42-ჯერ მიაღწია საწადელს—შეაწყვეტინა მუშებს გაფიცვა.

ავსტრიაში 287 გაფიცვა მოხდა, 43,297 მუშის მონაწილეობით. ყველა გაფიცვის სამი მეოთხედი მუშების სასარგებლოდ დასრულდა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1903 წელს 2,004 გაფიცვა მოხდა, 249,819 მუშის მონაწილეობით, და გაფიცვათა ოთხი მეხუთედი მუშებისათვის საკეთილოდ დასრულდა.

წინა წლებთან შედარებით დამტკიცდა მუშების გაფიცვათა წარმატება. გაფიცვათა მეტი პროცენტი გადაწყდა მუშებისათვის სასურველად, რაიცა იმითი აიხსნება, რომ უფრო გამტკიცდა კავშირი მუშათა შორის და უფრო მტკიცე ნიადაგზეა დაყენებული მუშების საურთიერთო დამხმარებელი კასები. („პ. გ.“).

საფრანგეთი. პარიზიდან სწერენ „ბერლინერ ლოკ. ანცაიგ.“-ს, რომ მომავალ წლის თებერვალში საკასაციო სასამართლოს სხდომა მოხდება დრეიფუსის საქმის შესახებ. განზრახვა აქვთ ხელ-ახლად გაარჩევინონ სამხედრო სასამართლოს ეს ცნობილი საქმე.

ავსტრო-უნგრეთი. 2 დეკემბერს მოხდა უნგრეთის მინისტრთა სხდომა და ლიბერალ დეპუტატების კონფერენცია. ტისამ გამოაცხადა: საჭიროდ ვსცნობ დათხოვნილ იქმნას პარლამენტი, რადგან ოპოზიციას გადაწყვეტილი აქვს დაუშალოს მუშაობა. 3 დეკემბერს პარლამენტის სხდომაზე ტისამ გამოაცხადა, განზრახვა მაქვს დავითხოვო პარლამენტი, თუმცა წევრთა უმცირესმა ნაწილმა უფლებაც არ მომცეს ხარჯთ-აღრიცხვის დაუმტკიცებლად ვაწარმოვო ხარჯებიო. ამაზე კოშუთმა უპასუხა, ოპოზიციას არ ჰსურს რაიმე დამოკიდებულება იქონიოს კანონის დამრღვევ მთავრობასთანაო. ოპოზიციის ყველა წევრები ფეხზე წამოდგნენ და 15 წუთის განმავლობაში ტაშს სცემდნენ და თანაგრძნობას უცხადებდნენ კოშუთს. შემდეგ ბარონმა ბანფიმ ისურვა ლაპარაკი, მაგრამ უმრავლესობამ ნება არ მისცა. ისეთი ალიაქოთი ასტყდა, რომ იძულებულნი გახდნენ სხდომა შეეწყვიტათ. ბარონმა ბანფიმ სთქვა, თანახმა არა ვარ მიეცეს კანონის დამრღვევ მთავრობას ხარჯთ-აღრიცხვის დაუმტკიცებლად გამოიღოს ხარჯი და დარწმუნებული ვარ, რომ ხარჯთ-აღრიცხვის დაუმტკიცებლად პარლამენტის დათხოვნა შეუძლებელიაო.

ახალი ამბავი

◆ როგორც აღნიშნული გვქონდა, ტფილისის ქალაქის საბჭომ კომისიას გადასცა ბელგიის უსახელო საზოგადოების შუამდგომლობა რკინის გზის სადგურიდან **ნავთის მილის გამოყვანის** შესახებ. 17 დეკემბერს კომისიამ შესაძლებლად სცნო ნება მისცეს საზოგადოებას ნავთის მილის გამოყვანისა იმ პირობით, რომ ქალაქის სასარგებლოდ გადაიხადოს თითო ფუთ ნავთზე 1 კაპ. და ამასთან ღირებულობა ნავთის მილისა არ ჩაირიცხოს მთელის ტრამვაის ღირებულობაში, თუ ქალაქი მოინდომებს გამოსყიდვას როგორც ტრამვაისა, ისე ნავთის მილისას. ეს დადგენილება ქალაქის გამგეობისა და ამავე კომისიის შეერთებულმა კრებამ 18 დეკემბერს განიხილა. კრებაზე ზოგმა სთქვა, უმჯობესია თვით ქალაქმა გაიყვანოს ნავთლუხიდან ნავთის მილი და შემდეგ ნავთი დაუთმოს როგორც უსახელო საზოგადოებას საელექტრონო სადგურისათვის, ისე სხვა საზოგადოებებს და მცხოვრებთაო. კრებამ პრინციპიალურად მიიღო ეს წინადადება და დაადგინა, დაევალოს სამშენებლო განყოფილებას, გამოარკვიოს რამდენად სასარგებლო იქნება მილის გამოყვანა.

◆ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ შემდეგ პიესების **ქართულად წარმოდგენის** ნება დართო კავკასიის სცენებზე: „პირველი მერცხალი“, დრამა 4 მოქ. თხზ. რიშკოვისა, თარგ. ვ. შალიკაშვილისა, „დღესასწაული სალგაულში“, დრამა 3 მოქ. იბსენისა, თარ. დ. აწყურელისა, „რუიბლაზი“, დრამა 5 მოქმ. ვ. გიუგოსი, თარ. პ. ყიფიანისა და კ. მესხისა, „გაკოტრება“ დრამა 5 მოქ. ბიერნსონისა, თარ. შ. დადიანისა, „დაღუპული ოჯახები“, დრამა 3 მოქ. აბელიანისა, თარგმ. სომხურიდან პოლოსიანისა, „დაუპატიჟებელი“ დრამა 1 მოქმ. მეტერლინკისა, თარგ. ადამაშვილისა.

◆ სამი-ოთხი დღის ავადმყოფობის შემდეგ, 19 დეკემბერს, ტფილისში გადაიცვალა ქალაქის საბჭოს **ხმოსანი ექიმი ანანოვი**. ანანოვი 20 წელზე მეტი საბჭოს ხმოსნად იყო და მონაწილეობას იღებდა მრავალს კომისიაში. იგივე იყო თავმჯდომარედ კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავმა ვერმიშევმა და გამგეობის წევრმა ენფიაჯიანცმა 19 დეკემბერს დაათვალიერეს ავჭალაში **ქალაქის წყლის მილის** ფილტრები და მთელი მოწყობილება.

◆ ვორონცოვის ძეგლიდან ერევნის მოედნამდე დამიხეილის ქუჩიდან ვერის დაღმართის თავამდე უკვე დაამთავრეს მუშაობა **ელექტრონის ვაგონების** ასამოძრავებლად. ამ კვირია გუბერნიის ტეხნიკოსთა კომისია დაათვალიერებს ამ გზებს.

◆ როგორც გვატყობინებენ, სადგურ **ეიბატიდან დაწყებული საბუნჩამდე** მოუმატეს რკინის გზის ლიანდაგის დარაჯების რიცხვს.

◆ ტფილისის **სახელოსნო საწვალებლის დირექტორმა** შეატყობინა გუშინ ქალაქის გამგეობას, რომ სახელოსნო სკოლამ წარსულ წელს მოსწავლეთაგან დამზადებულ ნივთების გაყიდვით აიღო 4511 მან. 14 კაპ. აქედან უნდა გამოირიცხოს 2,628 მან. 75 კაპ. მასალების ფასის გასასტუმრებლად, ხოლო დანარჩენი 18,82 მან. 39 კაპ., სკოლის წესდების მე-13 მუხლის ძალით, უნდა ამნაირად განაწილდეს: 941 მან. 19 კაპ. წარედგინოს ქალაქის გამგეობას, 470 მან. 60 კაპ. მიეცეს სახელოსნო სკოლის ხელოსნებს და 470 მან. 60 კაპ. უნდა მიემატოს მოსწავლეთათვის დასარიგებელ ფონდს. დირექტორი სთხოვს ქალაქის გამგეობას ნება მისცეს მოგებიდან 94 მან. 20 კაპ. დანიშნულებისამებრ განაწილდეს.

◆ ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა გუშინ, 20 დეკემბერს, წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას გეგმა გოლოვინის პროსპექტზე საელექტრონო ვაგონებისათვის მავთულების გასაბმელ ბოძებისა. უსახელო საზოგადოებამ გოლოვინის პროსპექტსა და ოლგას ქუჩაზე დასდგა ყოველ მესამე ბოძს შემდეგ ისეთი ბოძები, რომლებზედაც ქალაქის ხარჯით ფარნები დაიდგმება.

◆ როგორც დ. საჩხერიდან გვწერენ, ამ უკანასკნელ დღეებში იქ დიდი თოვლი მოსულა, ზოგგან დიდის თოვლის გამო გზები შეკრულა თურმე.

◆ სად. ნიკოლაევი. 19 დეკემბერს, მუშაობის დროს, რელსი მოხვდა საზარდულში ალექსი გელაშვილს და ძალზე დაშავდა.

◆ სად. განჯა. 19 დეკემბერს, დილის 11 საათზე, მატარებლის ქვეშ № 156 ჩავარდა ხანალი ხან-ოღლი და მარჯვენა ფეხი მოსწყვიდა.

◆ სად. ძეგამი. 19 დეკემბერს, 1 საათსა და 25 წუთზე, როდესაც საქონლის მატარებელი № 235 გადიოდა სადგურიდან, მოეწია სოფელ ძეგამის მცხოვრებს კარაპეტ ხაჩატუროვს და იქვე გასრისა. მეორე მხარეს მოასწრებდა გადასვლას, მაგრამ იქიდანაც მეორე მატარებელი მოდიოდა.

◆ 19 დეკემბერს, ღამის 4 საათზე, წყლის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა ბენიამინ მიხ. ელიზბარაშვილის სახლს. ცეცხლის გაჩენა მალე შეიტყვეს და ჩააქრეს.

◆ დღეს, 21 დეკემბრისთვის, დანიშნულია სხდომა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 20 დეკემბერი. მოხდა არჩევნები საურთიერთო ნდობის ბანკის თავმჯდომარისა და დირექტორებისა. წინანდელმა თავმჯდომარემ თავ. [illegible] ყუთის დადგმაზე უარი განაცხადა. დირექტორებმა თავ. კირილე ლორთქიფანიძემ და ქუთათელაძემ დაიდგეს ყუთები და ორივე გაშავებულ იქნენ. ერთხმად არჩეულ იქნენ: თავმჯდომარედ—თ-დი სიმონ ლორთქიფანიძე, დირექტორებად თ-დი ნესტორ ერისთავი და ბ-ნი გიორგი აკოფოვი. კრების გაგრძელება დღეს საღამოს იქნება.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქალაქის მოურავი დ. ა. ლორთქიფანიძე პეტერბურგიდან ძლიერ სასიამოვნო ამბავს იტყობინება დეპეშით: ეს-ეს არის გამოცხადდა შინაგან საქმეთა მინისტრის გარდაწყვეტილება, რომ შეწყნარებულ იქმნეს ქალაქ ქუთაისის შუამდგომლობა და მიეცეს მას სესხად ოცდა-ხუთის წლის ვადით 50,000 მანეთი ქალაქის სავადმყოფოს ასაგებად; ეს ფული მიეცემა ქალაქს ბესარაბიის სამონასტრო თანხიდან, მხოლოდ ქალაქმა უნდა იხადოს სარგებელი 4% და თან თავნი ვალიც თანასწორ ნაწილებად, ე. ი. ყოველწლიურად 2,000 მანეთი. რაც შეეხება ქალაქის შუამდგომლობას საფუთო გადასახადისა და სობლიგაციო სესხის შესახებ, 9 დეკემბერს წარუდგენიათ პირველი შუამდგომლობა სახელმწიფო საბჭოში და მეორე მინისტრთა კომიტეტში. უკანასკნელი შუამდგომლობა, ე. ი. საობლიგაციო სესხის შესახებ, დანიშნულია განსახილველად მინისტრთა კომიტეტში 21 დეკემბრისათვის. როდის განიხილება შუამდგომლობა საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ, არ ვიცი, მაგრამ შემპირდნენ-კი საქმის განხილვის დაჩქარებასაო. შუამდგომლობა წყალთა-შუაში სახაზინო ადგილის დათმობის შესახებ მოხსენდება სამინისტროს 18 ან 19 დეკემბერსაო.

◆ ქუთაისი კიდევ აიჩქოლა ხოლერის შიშმა. ამ დღეებში ქუთაისში ჩამოსულა განჯიდან ერთი კონდუქტორი, რომელიც ჩამოსვლისათანავე ავად გამხდარა. ავადმყოფს, სხვათა შორის, პირის ღებინება ჰქონია ატეხილი. ეს ორი ნიშანი, ერთი—განჯიდან ჩამოსვლა და მეორე,—პირიდან ღებინება, საკმაო ყოფილა, რომ ექიმს ეჭვი დაჰბადებოდა, ავადმყოფი ხოლერიანი ხომ არ არისო. ეს გარემოება შეატყობინეს ქალაქის გამგეობას, რომელმაც თავის მხრივ დაავალა სასანიტარო ექიმს, გაესინჯა ავადმყოფი და შემდეგშიაც თვალყური ედევნებინა. როგორც ეხლა დამტკიცდა, ავადმყოფს არავითარი ხოლერა არა ჰქონია. მაგრამ ამ გარემოებით ნუ გათამამდებიან ქუთათურები და მეტი სისუფთავე დაიცვან, თორემ დღეს თუ არა, ხვალ გვესტუმრება ეს დაუპატიჟებელი სტუმარი.

ქუთაისის სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრება

16 დეკემბერს ქალაქის უფასო სამკურნალოში მოხდა ადგილობრივ სამკურნალო საზოგადოების წევრთა კრება. კრება მეტად საინტერესო იყო—ერთი იმით, რომ ექიმმა გ. ლ. კორკაშვილმა წაიკითხა

ფელეტონი

მუშა და კანონი

წერილი ბრაზოლენკოსი

(დასასრული *)

განვიხილოთ ეხლა საკითხი სამუშაო ქირის შესახებ. საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ შრომის ფასის ფორმა და რაოდენობა მუშათა კლასის საჭირბოროტო საკითხია. ამ ნიადაგზე ხდება ხოლმე მრავალი შეტაკება პროლეტარის და კაპიტალს შორის. მაგალითად, შეერთებულ შტატებში 1881-დან 1886 წლამდე მომხდარ 3902 გაფიცვიდან 32,82 პროცენტი მოხდა სამუშაო ქირის მომატებისათვის. რასაკვირველია, კანონმდებლობის მეოხებით თითქმის არ შეიძლება შრომის დაჯილდოების საქმის განწესრიგება; მუშათა კავშირებისათვის უფრო ადვილია მოითხოვონ სამუშაო ქირის მომატება და წლითი-წლობით უფრო საგრძნობელი ხდება, რომ ასე უნდა მოიქცნენ; სამაგიეროდ, შრომის ხელფასის ფორმა და მრავალი სხვა მხარე მუშათა ყოფა-მდგომარეობისა ადვილად შეიძლება გარკვეულ და გაწეს-რიგებულ იქნეს კანონის მეოხებით. სამრეწველო წესდების მე-99 მუხლის ძალით დამქირავებელს აკრძალული აქვს მუშებს ფულის ნაცვლად გაუსწორდეს კუპონებით, პურით, საქონლით და სხვათი. ამ შემთხვევაში მე-99 მუხლი მუშებისათვის ძლიერ ხელ-საყრელია. სამაგიეროდ, მე-98 მუხლი ძალიან ავიწროებს მუშას: ამ მუხლის ძალით, „მუშას თუ ვადაზე არ მიუღია სამუშაო ქირა და თუ ამ შემთხვევაში თითონ არ არის დამნაშავე, უფლება აქვს მოითხოვოს დამქირავებელთან დადებულ პირობის დარღვევა. საჩივრის შეტანა ამაზე შეუძლიან ერთის თვის განმავლობაში“... უნებლიედ იკითხავთ, რად არის საჩივრის დასაწერად დანიშნული ერთი თვე და არა მეტი? პასუხს ამაზე ვერ ვპოულობთ. საჭიროა აღვიაროთ, რომ ეს ვადა მუშებისათვის, რომელთა უმრავლესობამ წერა-კითხვა არც-კი იცის, ძლიერ მცირეა.

აგრეთვე არა ხელ-საყრელია პროლეტარიატისათვის მე-105 მუხლიც. ეს მუხლი ამბობს: „ქარხნის ან ფაბრიკის გამგეს მუშასთან დადებული ხელშეკრულება შეუძლიან დაარღვიოს: 1) თუ მუშა საპატიო მიზეზის დაუსახველად არ გამოცხადდება სამუშაოზე სამ დღეს ზედი ზედ ან ექვს დღეს თვეში; 2) თუ მუშა არ გამოცხადდება საპატიო მიზეზით ორ კვირაზე მეტს ხანს; 3) თუ მუშა სამართალში იქნა მიცემული, რომელსაც მოჰყვება დასჯა არა ნაკლებ საპყრობილეში დაპატიმრებისა; 4) თუ მუშა შეუპოვარია (?) და ცუდის ყოფა-ქცევისაა, რის გამოც ქარხნის ქონებას ან ქარხნის მმართველობის რომელსამე პირს შიში მოელის; 5) თუ მუშას რაიმე გადამდები სენი გამოაჩნდა“.

ამ მუხლის მეორე პუნქტის შენიშვნაში მუშების ცუდ ყოფა-ქცევად ჩათვლილია თამბაქოს წევა ქარხნის ზოგიერთ სადგომში. ცუდის ყოფა-ქცევისაა მუშაც, რომელსაც თან წუმწუმა აქვს ამავე სადგომებში. ამ მუხლში ბევრი რამ ნათლად არ არის გამორკვეული და ბევრი რამ განუსაზღვრელია. რა არის, მაგალითად, „არა საპატიო მიზეზი“? რას ვუწოდებთ საპატიო მიზეზებს? ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორის საზომით ვიხელმძღვანელებთ. ეჭვს გარეშეა, რომ ქარხნის პატრონს შეუძლიან ბოროტად გამოიყენოს ეს მუხლი, დაარღვიოს თავის სასარგებლოდ ხელშეკრულება, დაითხოვოს მუშა ქარხნიდან და ამით მოაკლოს იგი ერთად-ერთ სახსარს ცხოვრებისას და გაამრავლოს მშიერ პროლეტართა რიცხვი. ეს უკანასკნელნი კი ძალიან უკლებენ სამუშაო ქირას და ამით თავიანთ ამხანაგებს მუშებსაც დიდ ზარალს აყენებენ. იმავე მუხლის მეოთხე პუნქტი შეიძლება განიმარტოს სხვა და სხვა ნაირად: შეიძლება, მაგალითად, შეუპოვრად ჩასთვალონ ის მუშა, რომელიც ქუდს არ მოუხდის ქარხნის გამგეს. უფლება აქვს თუ არა ქარხნის პატრონს დაითხოვოს მუშა ქარხნიდან თუ შეუპოვრობა უკანასკნელისა იქნება გამოწვეული თვით ქარხნის პატრონის ყოფა-ქცევით? მეხუთე პუნქტი, აღნიშნავს რა გადამდებ სენის გამოაშკარავება აძლევს ქარხნის პატრონს სრულს უფლებას დაითხოვოს მუშა ქარხნიდან. ჩვენ კარგად გვესმის კანონმდებლის ზრუნვა. იმას აზრად ჰქონდა „მუნიანი ცხვარი“ საღ-ჯანიანთა ჯოგისაგან განეშორებინა, მაგრამ მეორეს მხრივ საჭიროა ვიცოდეთ, როგორ არის მოწყობილი ჩვენი წარმოება ჰიგიენის მხრივ, და დამნაშავეა თუ არა მუშა, როდესაც იგი სიფილისით ან სხვა გადამდებ სენით ხდება ავად! აი, მაგალითად, რას გადმოგვცემს ბ-ნი იანჟული მოსკოვის გუბერნიის ქარხნების შესახებ. „სახელოსნო სადგომები საკანდიტეროებში ძალიან ბნელი და ჭუჭყიანია. საშეკოლადო განყოფილების უმეტესი ნაწილი მოთავსებულია ქვემო სართულში, რომელიც აგრეთვე ძალზე ბნელი და ჭუჭყიანია. იქ შედის ტალახი ეზოდან, რომლის ნიადაგი გაჟღენთილია უსუფთაობით, პატივით და სხ. ჩითის ქარხნის საშრობებში, სადაც ბევრი ბავშვი მუშაობს, ტემპერატურა 30 გრადუსია. ტყავის ქარხნებში საქსოვი განყოფილებანი მოთავსებულია მეორე სართულში ტყავთ-მოსაქნელს ზევით. ამიტომ იქ მუდამ საშინელი სიმყრალეა, ბნელა და უსუფთაობაა. მაუდის ქარხნებში, როგორც მრავალ სხვა ქარხანაში, ჰაერი მთლად გაჟღენთილია ორთქლით; დათვალიერების დროს არაფრის დანახვა არ შეიძლებოდა. უეჭველია, იქ არავითარი ჰაერის მუშაობა არ არის“.

წარმოების ასეთი პირობები, რასაკვირველია, ხელს უწყობს გადამდებ სენის გავრცელებას. ამიტომ ის სასჯელი, რომელიც ედება მუშას მე-105 მუხლის მეხუთე პუნქტით, მეტად სასტიკია. მაგრამ ამაზე უფრო აუტანელია წესდების მე-151 მუხლი. ამ მუხლის ძალით, არ შეიძლება ფაბრიკის ანუ ქარხნის გამგის განკარგულებათა გასაჩივრება“. ეს მუხლი ნათლადაა განმარტებული, ამიტომ ახსნა საჭირო არ არის. შევნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ეს მუხლი ისეთ თვითნებობის უფლებას აძლევს კაპიტალისტს, რომ იგი სრული ბატონი და მბრძანებელი ხდება მუშისა.

მუშათა კავშირებს კი შეუძლიანთ შეაკვეცონ ფრთები ასეთ ძალ-მომრეობას. ყველა ამის და მრავალ სხვა ბნელ მხარეების მოსპობა შეუძლიანთ მუშებს მშვიდობიან ბრძოლით. ამიტომ მუშათა კავშირების საჭიროება რაიმე დეკლარაცია როდია რევოლიუციონურ ან სოციალისტურ პრინციპებისა, არამედ ლოღიკური შედეგია თვით კანონისა. კანონი სცდილობს დაიცვას თავის ქვეშევრდომის ცხოვრება და ჯანმრთელობა მრავალ ხიფათისაგან. ამ შემთხვევაში მუშათა კავშირები დიდ დახმარებას აღმოუჩენენ ჩვენ საქარხნო ინსპექციას, რომელსაც არ შეუძლიან ყველაფერს თვალყური ადევნოს. ეს საქმე ძნელდება უფრო იმითი, რომ საქარხნო ინსპექციის მოსამსახურეთა რიცხვი მეტად მცირეა.

თუ მთავრობას არ შეუძლიან მკაცრ ინსპექციის და ფხიზელ ზედამხედველობის შემოღება, უნებლიეთ გებადებათ კითხვა, როგორ უნდა დავიცვათ მუშა იმ ათას ხიფათისაგან, რომლებიც ყოველ დღე და ყოველ ნაბიჯზე მოელის მშრომელ ხალხს და რომელიც სიღარიბე-სიღატაკეს უქადის? აი, ამ შემთხვევაში საჭიროა მუშათა ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას შეუძლიან ნება-დართულ ბრძოლით ასე თუ ისე გააუმჯობესოს თავისი ბედი, უზრუნველ ჰყოს ქონებრივად მაინც.

ჩვენ არ შევეხებივართ ერთ თვალსაჩინო საკითხს, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს პროლეტარიატის ცხოვრებაში. არ შევეხებივართ კანონს მოთხოვნისა და მიწოდების შესახებ. სამრეწველო კრიზისები და ვაჭრობის შეჩერება ყველაზე ცუდად მოქმედებს მშრომელ ხალხზე. დიდძალი მუშა უადგილოდ რჩება და შიმშილის, სიღატაკის მორევში ეფლება. ინგლისშიაც-კი, სადაც საზოგადოებრივი ქველმოქმედება დიდად არის განვითარებული, დიდძალი უადგილოდ დარჩენილი მუშაა. მაგრამ იქ მუშათა კავშირების გამოცდილნი და გამრჯე აგენტები თვალ-ყურს ადევნებენ შინაურ და მსოფლიო ბაზარს. თუ შეატყეს, რომ ამა თუ იმ ნაწარმოების მოთხოვნილება კლებულობს, კავშირებს შეუძლიანთ მოითხოვონ კაპიტალისტისაგან სამუშაო დღის შემოკლება, სამუშაო ქირის მომატება ან სხვა რამ, რაიც ცოტად მაინც უზრუნველ ჰყოფს მუშების ყოფნას ქარხნაში.

ჩვენში მუშები კავშირების აკრძალვის გამო საზარელ მდგომარეობაში არიან. კაპიტალის-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2685.

მეტად საინტერესო მოხსენება ქუთაისის გუბერნიიდან გაყვანილ ჯარის კაცთა მდგომარეობის შესახებ და მეორე—კრების თავმჯდომარის გუბერნიის ექიმის სერგეენკოს საქციელით, რომელმაც მთელი კრება ააშფოთა, მოხსენების ავტორი მოთმინებიდან გამოიყვანა და რამდენიმე მწარე სიტყვაც წარმოათქმევინა. მაგრამ ამის შესახებ ქვემოდ მოგახსენებთ. ეხლა კი გავიცნოთ ბ-ნ ქორქაშვილის მოხსენება.

ვინც განგებ თვალს არ აიხვევს, რომ სიმართლე არ დაინახოს, ყველამ კარგად იცის, თუ რა უბედურება მოსდევს კავკასიიდან გაყვანილ ჯარის კაცთა რუსეთში გაგზავნას სამხედრო ბეგრის მოსახდელად. ვინ მოსთვლის, რამდენი ახალგაზდა, ჯან-საღი კაცი გამხდარა რუსეთის მკაცრ ჰავის მსხვერპლად და სადღაც შორს, სამშობლოსა და ტოლ-ამხანაგებს მოშორებულს, უპატრონოდ, უჭირისუფლოდ დაულევია სული, ან, თუ როგორმე სული შერჩენია, დაავადმყოფებულა, დაჭლექიანებულა და სამშობლოში მხოლოდ-ღა მისთვის დაბრუნებულა, რომ იქ მოეპოვებია საუკუნო განსასვენებელი. ამ საკითხის შესახებ, ექიმის მურზინის საინტერესო წერილია დაბეჭდილი: „Военно-медицинскій журналъ“-ის ამ წლის ავგისტოს ნომერში შემდეგის სათაურით: Итоги комплектованія уроженцами Кутаисской губерніи войск., внѣ Кавказа расположенныхъ, по даннымъ двухъ войсковыхъ частей“, —რომლის მოკლე შინაარსიც სტუდენტმა სევ. ქოლოშვილმა გაგვაცნო ამას წინად „ცნობის ფურცლის“ საშუალებით. ბ-ნს ქორქაშვილს თავის მოხსენების დასაწერად უსარგებლნია ექიმის მურზინის წერილითა და ქუთაისში მყოფ მე-79 კურინსკი რაზმის სამედიცინო წიგნებით. ამ წიგნებიდან ბ-ნს ქორქაშვილს ამოღებული აქვს ცნობები 1896, 1897, 1898 და 1899 წლებისა, ე. ი. ერთის საბეგრო ვადის ანუ ერთის ყავლის შესახებ.

მოხსენება ოთხ ნაწილადაა გაყოფილი, სადაც ავტორი თავის გამოკვლევებსა და ექიმ მურზინის წერილიდან ამოღებულ ცნობებს ერთმანეთს უპირდაპირებს და გამოჰყავს თავისი აზრი. მოხსენების პირველ ნაწილში ჩვენ ვხედავთ, რა განსხვავებაა ჯარის ვაცის მდგომარეობაში სამსახურის დროს რუსეთსა და კავკასიაში. როგორც მოხსენებაში ჩართულ ცხრილიდანა სჩანს, ქუთაისის გუბერნიიდან გაყვანილ ჯარის კაცთაგან რუსეთში ავად ხდება 47,6%, ქუთაისში—40,16%; რუსეთში ათავისუფლებენ სამსახურისათვის უვარგისად ცნობის შემდეგ 11,18%-ს, ქუთაისში—5,32%-ს; რუსეთში კვდება ამ ჯარის კაცთა 2,5%, კავკასიაში—0,8%. აქ მეტი ყურადღების მისაქცევია ორი უკანასკნელი რიცხვი, საიდანაც სჩანს, რომ რუსეთში ავადმყოფობის გამო სამსახურისათვის უვარგისად ხდება ორი იმდენი ჯარის კაცი, რამდენიც კავკასიაში, კვდება კი სამი იმდენი, რამდენიც აქ.

მოხსენების მეორე ნაწილში აღნიშნულია, თუ რამდენად ხშირია ესა თუ ის ავადმყოფობა ქუთათურ ჯარის კაცთა შორის რუსეთსა და კავკასიაში. აქ ყურადღებას იქცევს სასუნთქავ ორგანოების ავადმყოფობა, რომელიც რუსეთში უდრის 35%-ს, კავკასიაში კი—21%, ნამეტურ პლევრიტი, რომლითაც ავად ხდება რუსეთში 15%, კავკასიაში კი—3,3%, ე. ი. რუსეთში პლევრიტით ხუთი იმდენი ჯარის კაცი ხდება ავად, რამდენიც კავკასიაში.

მესამე ნაწილიდან სჩანს, რომ პლევრიტის მოურჩენლობისა გამო სამსახურიდან გაუნთავისუფლებიათ რუსეთში 43,3%, ქუთაისში—8,5%, ე. ი. რუსეთში ხუთი იმდენი დაუთხოვნიათ, რამდენიც კავკასიაში. გარდა ამისა, პლევრიტის შემდეგ სისხლ-ნაკლებობისათვის გაუნთავისუფლებიათ 6,7%, ქუთაისში კი სულ არა. საზოგადოდ სასუნთქავ ორგანოების ავადმყოფობით რუსეთში უვარგისად სცნობენ და სამსახურიდან ანთავისუფლებენ ქუთათურ ჯარის კაცთა 17,1%, ქუთაისში კი მხოლოდ 4,4%.

მოხსენების მეოთხე ნაწილში განმარტებულია მიზეზი, თუ რატომაა რომ ქუთაისში ჭლექით დაავადმყოფებულ ჯარის კაცთა მეტს წილს ანთავისუფლებენ სამსახურიდან (33,4%), ვიდრე რუსეთში (33,4%). ამის მიზეზად ბ-ნი ქორქაშვილი ასახელებს იმ გარემოებას, რომ ქუთაისში ავადმყოფებს ჰყავთ ჭირისუფალნი, ნაცნობ-ნათესავნი, რომელთაც საავადმყოფოდან გაჰყავთ ავადმყოფები; რუსეთში კი, რადგან ქუთათურ ჯარის კაცთ ჭირისუფალნი არა ჰყავთ და სიშორის გამო მთავრობაც იშვიათად ჰგზავნის მათ სამშობლოში, ჭლექიანები საავადმყოფოშივე იხოცებიან. აი, ამის გამო, რუსეთში 9 ჭლექიანიდან 4 მომკვდარა და 5 გაუგზავნიათ სამშობლოში, ქუთაისში კი 17 ჭლექიანიდან მხოლოდ ორი მომკვდარა, 15 კი შინ გაუშვიათ. საზოგადოდ ქუთაისის გუბერნიიდან გაყვანილ ჯარის კაცთაგან რუსეთში ავად ხდება სასუნთქ ორგანოებით—9,4%, ქუთაისში კი—3,9%. მოხსენების ავტორს თავის ცხრილებიდან ამგვარი დასკვნა გამოჰყავს: ქუთათურ ჯარის კაცთაგან სასუნთქ ორგანოების ტკივილებით რუსეთში 13,3%-ით უფრო ხშირად ხდებიან ავად, სამსახურისათვის უვარგისობის გამო 18,2%-ით მეტს ათავისუფლებენ და 37%-ით მეტი ჰკვდება, ვიდრე ქუთაისში.

თუ რა ცუდი შედეგი მოსდევს ქუთათურ ჯარის კაცების რუსეთში გაგზავნას სამხედრო ბეგრის მოსახდელად, ამას ქვემოდ დავინახავთ. როგორც ბ-ნ ქორქაშვილის ცხრილიდანა სჩანს, 1899-დან 1903 წლამდის ქუთაისის გუბერნიიდან გაუყვანიათ 13,835 ჯარის კაცი, რომლითგან 10,051 კაცი რუსეთში წაუყვანიათ, კავკასიაში კი მხოლოდ 3,784 დაუტოვებიათ. რუსეთში გაგზავნილ 10,051 კაციდან სახლში დაბრუნებულა დაავადმყოფებული და შრომისათვის უვარგისი 3,859 კაცი და 854 კი სამსახურის დროსვე მომკვდარა. ეს ჯარის კაცნი რომ ადგილობრივ დაეტოვებინათ სამხედრო ბეგრის მოსახდელად, რიცხვი შესამჩნევად შემცირდებოდა: მაშინ ავადმყოფობის გამო გაათავისუფლებდნენ 1,929 კაცს (3,859-ის ნაცვლად) და გადიცვლებოდა მხოლო 284 (ნაცვლად 854 კაცისა). ამგვარად ქუთაისის გუბერნიას შეეძინებოდა 2500 ჯანსაღი მუშა და რუსეთის ჯარსაც ამდენი ჯარის კაცი.

დასასრულ ბ-ნს ქორქაშვილს ისეთი აზრი გამოჰყავს: საჭიროა, ქუთაისის გუბერნიიდან გაყვანილი ჯარის კაცნი კავკასიაში რჩებოდნენ სამხედრო ბეგრის მოსახდელად, რადგან ეს როგორც ჯარის კაცთა, ისე თვით მთელ ჯარის ინტერესს შეადგენსო.

(დასასრული იქნება)

პრესსა

„ჩვენი ცხოვრების ერთი სიავეთაგანი“-ს სათაურით „ნაშა ჟიზნ“-ში დასტამბულია საყურადღებო წერილი. წერილის ავტორი ბატონი ლავრინოვიჩი აღშფოთებულია რუსის პოლიციელების თვითნებობითა და ძალმომრეობით.

ყაზანის ღვთის-მშობლის ხატის მოპარვის გამო დიდი პროცესსი იყო და ამ პროცესსის დროს, სხვათა შორის, ზოგმა ბრალდებულმა და მოწმემ განაცხადეს—ყანაზის პოლიციელებმა გვცემეს და გვაწამესო.

> საუბედუროთ, პოლიციის მოქმედებამ ბოროტ-მოქმედების „აღმოჩენის“ საქმეში იმდენად გარკვეული ხასიათი მიიღო, რომ ხსენებული შემთხვევა მხოლოდ ერთი ეპიზოდია, რომელმაც მარტო იმიტომ მიიპყრო ყურადღება, რომ თვითონ პროცესი იყო შესანიშნავი. რამდენი ამისთანა და უარესი შემთხვევებია ადამიანის პიროვნების შელახვისა ყველგან!

მაგრამ გამომჟღავნებით-კი აქამდე ცოტა გამომჟღავნებულა. მხოლოდ ამ ბოლოს დროს გაზეთებმა ხმა ამოიღეს და ამ

> უკანასკნელი თვის განმავლობაში იმდენი ფაქტები შევიტყეთ, რომ თვალები აგვიჭრელდა პოლიციურ გამხეცების სურათებით, იმ პოლიციურ გამხეცებისა, რომელმაც ფესვი გაიდგა დიდის ხნის დაუსჯელობის მიზეზით.

განხეთქილება დამყარებულია სულ სხვა მიზეზებზედ. არავის არაფერი ექნებოდა საწინააღმდეგო, ამ განხეთქილებას რომ საფუძვლად აზრთა შეტაკება და პრინციპების სხვა-და-სხვაობა ჰქონდეს. სამწუხაროდ, ეს ასე არ არის.

შემდეგ გაზეთს მოჰყავს მართლა შემაძრწუნებელი ფაქტები საპოლიციო მოღვაწეობისა. არ მოგვყავს ისინი, რადგან სულ ნაცნობი მოვლენანი და სურათებია ყველასათვის: სხვა რამ ვიკითხოთ, თორემ ასეთ „მოღვაწეობითა და ღვაწლით“ შიდა რუსეთი ჩვენ წინ ვერ გაგვისწრობს! ჰკითხეთ თუნდა გორისა და სურამის მაზრის მცხოვრებთ.

> ეს საშინელი ბოროტება გაჩნდა და განვითარდა მხოლოდ იმიტომ, რომ ბოროტ-მოქმედება სრულიად არ ისჯებოდა; ცენზურას დამორჩილებული პრესსაც ხმას ვერ იღებდა. ნაცემ-ნაწამებთა განცხადებანი იშვიათად მიდიოდა საზოგადოებამდის მაშინაც-კი, როცა ეს სასამართლოში საჯაროდ ხდებოდა; უფრო იშვიათი მოვლენი იყო კიდევ, რომ პროკურატურას ყურადღება მიექციოს ამაებისათვის. ყველა ამის წყალობით ეს ბოროტება ვითარდებოდა, ვრცელდებოდა და იქამდე გაიზარდა, რომ მეტი დამალვა შეუძლებელი შეიქნა და ამით აიხსნება ძალმომრეობისათვის პოლიციელების წინააღმდეგ დაწყებულ პროცესსების გახშირება. მაგრამ რაც არ უნდა ენერგიულად იმოქმედოს ამ შემთხვევებში სასამართლომ, საუკუნოებით გამტკიცებულ ბოროტების აღმოფხვრა ადვილი საქმე არ არის. ამისთვის საჭიროა, რომ პიროვნების ხელუხლებლობა საგანგებო კანონით იყოს უზრუნველყოფილი და პოლიცია ისეთი დაწესებულება გახდეს, რომელსაც უნდა ეკითხებოდეს საზოგადოების დაცვა ბოროტ-მომქმედთაგან.

⁂

ამას ღაღადებენ არა მარტო „უნიადაგო ლიბერალები“ და „სამშობლოს მოღალატე რევოლიუციონერები“. აი რა უთქვამს ერობის სხდომაზე ელნინსკის თავად-აზნაურობის მხცოვან მარშალს ნ. ნ. ოპოჩინინს:

> სინდისის და მიღებულ ფიცის მოვალეობის გამო არ შემიძლია გავჩუმდე იმაზე, რაზედაც მთელი რუსეთი ლაპარაკობს, არ შემიძლია არ შევეხო იმ მძიმე დროს, რომელშიაც ჩვენ ეხლა ვსცხოვრობთ. მე ძველი ხმოსანი ვარ. ჩემ საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მიზნისაკენ ყოველთვის კანონიერის გზით მივისწრაფოდი,—ქუჩაში მე არ გამოვალ; არ მომწონს ამ გვარი მოქმედება. და მე მაინც უნდა ვილაპარაკო რუსეთის ცხოვრების მოუწყობლობაზე და დაჩაგვრაზე, რომელსაც გრძნობენ ჩვენში არა მარტო კერძო პირები, არამედ მთელი საზოგადოებაც. ყველაზე საოცარი ის არის, რომ ამ დაჩაგვრას ვერ გაექცევი, ვერ შეატყობინებ უმაღლესს მთავრობას. არ ჩამოვთვლი ყველა მოუწყობლობას, არ გავჩერდები დაჩაგვრის სხვა-და-სხვა საშუალებასა და დეტალებზე—ეს თქვენც კარგად იცით და მეც მეტად აღელვებული ვარ, რომ გრძელი სიტყვა წარმოვსთქვა—მიგითითებთ მხოლოდ ყველაზე უმთავრესზე, რაც ცხოვრებას მძიმედ და აუტანელად ხდის—არ არის ერთობა მთავრობასა და ხალხს შუა, შეუძლებელია შევატყობინოთ რამე უმაღლესს მთავრობას ჩვენ საჭიროებაზე, სურვილზე, რუსეთის ცხოვრების მოუწყობლობაზე. ეხლანდელ მომენტის დროს უფლება არა გვაქვს გავჩუმდეთ, მოვალენი ვართ გამოვუცხადოთ უმაღლესს მთავრობას ჩვენი სურვილები—ეხლანდელ პირობებში შეუძლებელია ნაყოფიერი მუშაობა.

მარშლის ამ სიტყვას დიდის ალტაცებით თურმე მიეგებნენ და მისი წინადადება გადასცეს ხმოსნების სარედაქციო-სარევიზიო კომისიას, რომ შეემუშავებინა ტექსტი მიმართვისა უმაღლეს მთავრობისადმი. კომისიამ შეიმუშავა ეს ტექსტი და წარუდგინა საერობო კრებას, მაგრამ თავმჯდომარემ ნება არ მისცა დამსწრეთ მის განხილვაში შესულიყვნენ, რადგან საზოგადო სახელმწიფო საკითხებს ეხებაო.

რუსეთის ქრონიკა

◆ ფინლიანდიის ქალაქ აბოს სამოქალაქო სასამართლოში სტუდენტ ქალის გრიპენბერგის საქმე ირჩევა; ამ ქალს აკრძალულ ჟურნალ-გაზეთების გადმოტანა და გავრცელება ჰბრალდება.

◆ 23 ნოემბერს ხარკოვის სამოსამართლო პოლატის სესიამ გაარჩია პოლტავაში საქმე ს. ნოვაკოვსკის შესახებ, რომელსაც ბრალდებოდა მოლდავსკის წისქვილზე მოსამსახურეთა შორის პროკლამაციის გავრცელება შემდეგის სათაურით: „ომი ომის წინააღმდეგ“. ნოვაკოვსკი მოიყვანეს საპატიმროდან, სადაც საქმის გარჩევამდის ექვს თვეს იყო. პალატამ გადაუწყვიტა 2 თვით დაპატიმრება.

◆ „რუსკ. ვედ.“-ებს ატყობინებენ პოლტავიდან, რომ საგუბერნიო,-საერობო საკრებულომ დაადგინა იშუამდგომლოს მისცენ ნება სახალხო პირველ დაწყებით სკოლებში სახელმწიფო ენის გარდა ადგილობრივი, მალოროსიული ენაც ასწავლონ.

◆ „მიუნ. გოროდ. იზვესტია“-ის სიტყვით, ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის დადგენილებით ცენზორებს გუბერნატორები დანიშნავენ და გუბერნატორების მოვალეობა იქნება თვალ-ყური ადევნონ ცენზორების მოღვაწეობას. ცენზორი იქნება პასუხის მგებელი ბეჭდვითი სიტყვით წესების დარღვევისთვის. ავტორები კი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაისჯებიან, თუ ცენზორის დადგენილებას არ შეასრულებენ.

◆ ამ დღეებში სენატში გადათვალიერებულ იქმნა საკითხი ცოლ-ქმრის გაყრის კანონის მე-290 მუხლის მოსპობის შესახებ, რომლის ძალით დამნაშავე მეუღლეს არ შეუძლია დაქორწილდეს იმასთან, რომელთანაც ერთად დაარღვია ცოლ-ქმრობის მოვალეობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლის მომხრენი ამტკიცებდნენ, იმისი მოსპობა მეტ ღალატს გამოიწვევსო, უმრავლესობამ (178 ხმა 58-ის წინააღმდეგ) გადასწყვიტა მოსპობა.

◆ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ცნობებით, ევროპის რუსეთის 50 გუბერნიაში 94,215,415 მცხოვრებელია. ყოველ წელს იბადება 6,465,900 კაცი. კვდება: ბავშვები ერთ წლამდე—1,196,674; 5 წლამდე—1,858,850; 15 წლამდე—2,100,757. ყოველ წელს კვდება ევროპის რუსეთში შუა რიცხვით 981,044 მოზრდილი.

◆ მოსკოვის უნივერსიტეტის საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა ნება მიეცეს საბჭოს გამოიკვლიოს 5 და 6 დეკემბერს მომხდარი სტუდენტების არეულობა.

◆ პეტერბურგის ნაფიც ვექილთა საბჭომ უჩივლა პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორს ვუიჩს, რომ 21 ნოემბერს ვუიჩმა არ დაუთმო ნაფიც ვექილთ და იმათ თანაშემწეთ სასამართლოს დარბაზი, რათა ედღესასწაულნათ სასამართლოს წესდების შემოღების შემდეგ 40 წლის შესრულებაო. როგორც „პრავო“ იუწყება, ამ საჩივარზე ფინანსთან მინისტრმა შეატყობინა საბჭოს, რომ ნაფიც ვექილთა უფლება სასამართლოს დარბაზით სარგებლობის შესახებ აღდგენილია.

„ფინლიანდ. გაზეთ“-ი იუწყება, რომ „განსაკუთრებულ საჩივართა კომისიამ“, რომელიც არჩევს სეიმში მოსულ თხოვნებს, წარუდგინა სეიმს მოხსენება, თხოვნების მიხედვით შედგენილი, უწინდელ წეს-წყობილების აღდგენის შესახებ. კომისიის მოხსენება კრიტიკულად არჩევს ამ უკანასკნელ ექვსი წლის განმავლობაში მთავრობის საკანონმდებლო აქტებს და ზომებს და ამტკიცებს, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ იმათი გაუქმებაო. მოხსენება ურჩევს სეიმს იშუამდგომლოს სამხედრო ბეგრის წესდების მოქმედების შეჩერების შესახებ, ახალ წესდების გამოცემამდის, რომელიც სეიმის წევრთა დახმარებით უნდა შესდგეს. რუსულ სახელმწიფო ენის მაგიერ შემოიღონ შვედური და ფინური ენა მთელი მხრის უმაღლეს დაწესებულებებში და სამსახურში მოხელეები მიიღონ იმის სანურჩევლად, თუ ვინ რომელ ტომს ეკუთვნის.

წერილები

ალაგირი (ოსეთი). 12 დეკემბერს ალაგირის ქართულ სკოლის მასწავლებლის თაოსნობით აქაურ ბატარეის სადგომში (რომელიც [illegible]) გამართულ იქმნა ქართული [illegible] საღამო. ფარდის ახდისას გამოჩნდა სურათებით მორთული სცენა. წარმოადგინეს ერთ მოქმედებიანი პიესა „საცოლე ერთის საათით“. ყველამ რიგიანად შეასრულა თავისი როლი. თამაშობდნენ პეტ. მეტრეველი, არტ. ხეჩუევი, გიორ. ლობჟანიძე, ალ. ლობჟანიძე, ი. მეტრეველი. შემდეგ იმღერა ქართულმა ხორომ ბ-ნ რაზმაძის ლოტბარობით, წაიკითხეს ქართული ლექსები და ბოლოს წარმოადგინეს ერთ მოქმედებიანი „ორი მშიერი“. საღამომ კარგად ჩაიარა და დიდძალი ხალხიც დაესწრო როგორც ქართველობა, ისე რუსობა და ოსობა. ხალხი ძლიერ ნასიამოვნები დარჩა და დიდი მადლობა გამოუცხადა მასწავლებელს რაზმაძეს. **პ. მეტრეველი.**

სამეგრელო. რვა დეკემბერს თოვლი მოვიდა, მას მოჰყვა ხშირი წვიმა და ქარი. გზები ყველგან გაფუჭებულია. მიმოსვლა სოფლებში, დიდის ტალახისა გამო, გაჭირვებულია. მოხელეები ნედოიმკებს თხოულობენ, კალათები თან დააქვთ, და ვინც ფულს ვერ გაიღებს, ბეღლიდან სიმინდს უვრიან და ჩალვადრებს აძლევენ. სოფლებში ღორის ჭირია. მკვდარი ღორები სენაკსა და ზუგდიდში მიაქვთ გასასყიდად. საჭიროა სენაკსა და ზუგდიდში დაკლულ ღორებს დიდი ყურადღება მიაქციონ. გ-ს უღელი ხარი დაეკარგა, დაკარგულ ხარების პატრონს ს. ლესიჭინეში ყარაულების უფროსი შეჰხვედრია. —რას გაიღებ, რომ გასწავლო სად არის შენი ხარები: გ-ს ეთქვა: ჩემი ხარები სულ 35 მან. ღირს, თხუთმეტ მანეთს მოგცემო. ხარების ქურდს მე არ ვიცნობ, გზაში უცნობი კაცი შემხვდა, მითხრა, თუ ხარების მძებნელი ნახო, გადაეცი: ოცდა ხუთი მანეთი მომიტანოს და ამ ადგილას მოვიდესო. ახლა შენ როგორც გინდა, ისე ჰქენიო. მეტი ჩარა არ იყო. პატრონი მისულა დანიშნულ ადგილას. იქ უცნობი, შეიარაღებული, კაცი შეჰხვედრია, ეკითხა მიზეზი მოსვლისა, როცა გაიგო, ეთქვა: ჩქარა ფული ამოიღე, თორემ თავს გაგაგდებინებთ. ეს ადგილი ტყიანი ყოფილა. ამოუღია ოცდა ხუთი მანეთი და ქურდისთვის გადაუცია. ქურდს უსწავლებია, ხარები სადაც ება. **ხოპის-პირელი**

ზუგდიდი (სამეგრელო). მდგომარე წელიწადი ზუგდიდის მაზრის მცხოვრებთა და ვაჭრებისთვის ბედნიერ წლად ვერ ჩაითვლება. აბრეშუმის ჭიას ცუდი ამინდი დაუდგა და გამოსავალი ნაკლები ჰქონდა. ფასიც წინა წლებზე მეტად დასწიეს ჩარჩებმა. ამასთან ფასების დაწევა დააბრალეს რუსეთ-იაპონიის ომს. ამას ზედ დაერთო შიმშილობა რომელმაც მთლად მოუღო ბოლო სოფლელთა მდგომარეობას და ვაჭრობას. ასე წარმოიდგინეთ, იმან, ვინც აპრილ-მაისში ფუთი სიმინდი 40 კ. 50 კ. გაჰყიდა, აგვისტოში თვითონ იყიდა 1 მ. და 1 მ. 20 კ. მოსავილი აქა-იქ წასულ წლისთანა იყო, და ზოგგან კი ნაკლებიც. მაგრამ შიმშილობის დროის სესხმა მაინც გააჩანაგა წლევანდელ მოსავლის ხვავი, რადგან ერთის ფუთის მაგიერ სამ ფუთს ჰპირდებოდნენ ახალ მოსავლისას. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა ხალხმა ვერ შესძლო ათას მოთხოვნილებების და გადასახადის დაკმაყოფილება. მიუხედავად ამ გარემოებისა, აქაურს ფოსტის კანტორაში ყოველ დღე შეხვდებით კაცს, შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნ ფულიან პაკეტით ხელში. უგზავნიან სალდათს—შვილს, ძმას, ანუ ნათესავს, უკანასკნელ ლუკმას იკლებენ და ორიოდე გროშს მაინც უგზავნიან. გამწვავდა ცხოვრება და სწორედ ამიტომ ბევრმა ქურდობას მიჰყო ხელი. დრო იყო, ოც მანეთისთვის კაცის გაძარცვას არ კადრულობდნენ ავაზაკები, დღეს კი ათი-ხუთი მანეთისათვის ისე დაჰკლავენ, როგორც წიწილს. პირუტყვის ქურდობა ხომ ძალზე გახშირდა. დღეს მოპარული ხვალვე შეგიძლიანთ დაიბრუნოთ თქვენისავე ჯიბის წყალობით, თუ დაკარგულის ფასის მესამედს გაიმეტებთ. „ვაის გაეყარე, ვუის შეეყარეო“: ერთი უბედურება კიდევ დაგვერთო. ახლო-მახლო სოფლებში გაჩნდა საქონლის ჭირი. უფრო ჭირი მძვინვარებს ანაკლიის მხარეს. ღორის ჭირმა ხომ დიდი ხანია დაგვეტანჯა. ოჯახი არ არის, ერთი ან ორი ღორი არ მოკვდომოდეს.

აქეთკენ მუდმივი წვიმებია, რის მიზეზითაც სოფლის გზები გაუვალია. მდინარე ჩხოუშზე ანაკლიის შოსეზედ (ზუგდიდიდან ორმოც საჟენზეა) უხიდობამ დატანჯა განაპირა მცხოვრებლები, ნამეტნავად მოსწავლეები. **ანტონ ზუგდიდელი.**

სვანეთი. დღემდე სვანეთში „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ სკოლებში ქართულ ენის სწავლება აღკრძალული არ იყო, როგორც, საზოგადოდ, იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლებში. დღეს კი საქმე სხვანაირად დატრიალდა: 17 ნოემბერს სვანეთის ეკლესიების ბლაღოჩინმა (აქაურ სკოლებისავე ზედამხედველმა) მიიწვია მასწავლებელნი კრებაზე დანიშნულ დღეს მასწავლებლებიც შეიკრიბნენ. ბლაღოჩინმა გამოაცხადა: გიცხადებ თქვენ, მასწავლებლებს, რომ თქვენდარწმუნებულ სკოლებში დღეიდან ქართული ენა აღარ ასწავლოთ. შეგიძლიათ ასწავლოთ მხოლოდ ხუცური კითხვაო. ამის გაგონებაზე მოსწავლეებმა ყურები დაუშვეს, შემდეგ განცხადების ფურცელზე თანხმობის ნიშნად ხელი მოაწერეს და მით კრებაც დაიშალა. ამბობენ, ამის შესახებ ბლაღოჩინს ჯერ-ჯერობით არავითარი ოფიციალური მოწერილობა არ მიუღია და თავის ნებით აკრძალა ქართული ენაო. შეიძლება ეს ამბავი ტყუილიც იყოს. მეორეც: სკოლებს აქვთ უმაღლეს მთავრობის მიერ დამტკიცებული პროგრამმა და გაკვეთილების გაწეს-რიგების ფურცელი, სადაც ქართულ ენას ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი და რომლის შეცვლაც (როგორც ერთ იმის შენიშვნაშია მოხსენებული) დამოკიდებულია მხოლოდ უმაღლეს მთავრობისაგან. **№**

ს. ახაშენი (კახეთი). სოფ. ახაშენმა ქურდობაში ყველა სოფელს გადააჭარბა. აქ პირუტყვებს გარდა, მეტყველებსაც დაუწყეს პარვა: მ. მ—შვილს „მოჰპარეს“ ცოლი, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ, როდესაც სხვა სოფლების მიბაძვით, იქაც სასჯელით დაუწყეს მუქარება, ვინც ნაპარავს არ აღმოა-

---

ტის გაუმაძღრობას შეიძლება ბოლო არ მოუღოს, მუშები-კი, რომელთაც ბაზრის მდგომარეობა არ იციან მრავლად მიაწყდებიან ქარხნებს და ქირას დასცემენ. ამას გარდა მოთხოვნილება იკლებს და მუშები უადგილოდ დარჩებიან. დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი ძლიერ შემაძრწუნებელი გარემოება: რუსეთში ყოველ გაფიცვას სდევნიან პოლიციურ-ადმინისტრატიულ ზომებით... **ნოე გ—ძე.**

წერილი პეტერბურგიდან

განხეთქილება სტუდენტთა შორის.—როგორ მოიქცა ერთი ჯგუფი სტუდენტობისა,—ქართული საღამო.—მომავალი საქველმოქმედო საზოგადოება.

„კაცმა ჭირი მალა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო“,—სწორედ ზედ გამოჭრილია ეს ანდაზა აქაურ ქართველ სტუდენტობაზედ. 10 დეკემბერს გამართულმა ქართულმა საღამომ ნათლად დაგვანახვა ამ ანდაზის სიმართლე. პირველ წერილში მე განგებ არაფერი ვსთქვი იმ განხეთქილებაზედ, რომელიც არსებობს აგერ მთელი წელიწადია აქაურ ქართველ სტუდენტთა შორის, ვიფიქრე, ეს შინაური საქმეა და მკითხველისთვის ბევრად საინტერესო არ იქნება მეთქი. მაგრამ ახლა გაჩუმება შეუძლებელია, მით უმეტეს, რომ აქაურ რუსულ გაზეთებში უკვე იყო გამოქვეყნებული წერილი ქართველ სამოცდა-ათ სტუდენტისა, რომელნიც აცხადებდნენ, რომ 10 დეკემბრისთვის განზრახულ საღამოში მომეტებული ნაწილი ქართველ სტუდენტობისა მონაწილეობას არ გიღებთო. მიზეზი გამოცხადებული არ იყო.

საზოგადოებრივი ფიზიანომია ორივე ჯგუფისა ძნელი გამოსარკვევია. როგორც გავიგე, უნდა აღვნიშნოთ, რომ განხეთქილება გამოწვეულია პირველ უკმაყოფილობით და ერთის ჯგუფის მიერ ეთიკის ელემენტარულ კანონების დაუცველობით... ასე წვრილმანდება 150 კაცის ახალგაზდა ძალა და იკარგება დრო. სტუდენტობა, როგორც პროგრესიული ელემენტი, გამომხატველი უნდა იყვეს თანამედროვე საზოგადოებრივ მისწრაფებისა. რადგან საზოგადოებრივი ინიციატივა რუსეთში აღკვეთილია, უნივერსიტეტი გამხდარა იმ ასპარეზად, სადაც ირწყვება საზოგადოების იარები, უნივერსიტეტი ბარომეტრია საზოგადოებრივი მისწრაფებისა. ასეა აქ სხვა ერების სტუდენტობაში, ეს ვერ შეიგნო მხოლოდ იმ ჯგუფმა, რომელმაც გამართა საღამოს ათს ამ თვეს სათავად-აზნაურო დარბაზში. ეს საღამო პირველი იყო ამ დარბაზში წელს, უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტთა მიერ გამართული. როგორც სტუდენტობას, ისე მომეტებულ ნაწილს ინტელიგენციისას თანამედროვე მოვლენებზედ აშკარად გამორკვეული შეხედულობა აქვს და მთელი მისი მოქმედება შეესაბამება ამ შეხედულობას. მხარი აუქცია ამ მოვლენას მხოლოდ საღამოს გამმართველმა ჯგუფმა და შეიტანა დისონანსი მწყობრ და ერთხმად აღიარებულ მიმართულებაში. მატერიალურად დაქვეითება და სიღარიბე ნებას-არავის აძლევს იხმაროს ის საშუალებანი, რომელნიც ყველასაგან უარყოფილი და დაგმობილია: ამ შემთხვევაში სტუდენტობამ, ჩემის აზრით, მეტი თავმოყვარეობა უნდა გამოიჩინოს.

საღამოს შესახებ ბევრი არაფერი ითქმის. ქართველი სტუდენტობა, გარდა მცირე ნაწილისა, არ დაესწრო. ნაკლებად დაესწრო აგრეთვე გარეშე ხალხი, რომელიც ცოტად თუ ბევრად კრიტიკულად უყურებს თანამედროვე მოვლენას და სტუდენტების განხეთქილებაში უმრავლესობის მხარი უჭირავს. საღამოს სულის ჩამდგმელი მ. ა. ბალანჩივაძე იყო და ქართულად თითქმის სულ იმის თხზულებები შეასრულეს. იმღერეს ქ-ნმა სარაჯიშვილისამ და ბ-ნმა ი. სარაჯიშვილმა. ყვავილების და შამპანიურის გასასყიდად მოწვეულნი იყვნენ საიმპერატორო ბალეტის არტისტი ქალები. თვით საღამოს გამგენი ქულაჯებსა და ფერად შალვრებში იყვნენ გამოწყობილნი. საღამო გათავდა ლეკურით და ევროპიულის ცეკვით. ლეკური ითამაშა საიმპერატორო ბალეტის არტისტმა ქალმა მ. მ. პეტიპამ, ისე როგორც ცეკვავენ ლეკურს ბალერინები.

შემოსავალმა შეიძლება ოდნავ დაჰფაროს ის დიდი ხარჯი, რომელსაც თხოულობს ამისთანა საღამოს გამართვა. თუ გამოვაკლებთ იმ 15%, რომელიც საღამოს გამგეთ საკუთარის სურვილით შესწირეს წითელ ჯვარს, მგონი, ხარჯი ვერც-კი დაიფაროს...

მკითხველებმა უკვე იციან, რომ აქ არსდება ქართული საზოგადოება საქველმოქმედო და გასანათლებელ აზრით. არჩეულმა კომისიამ წესდება უკვე შეიმუშავა და დღეს წარუდგენს დამფუძნებელთა კრებას განსახილველად და შესავსებლად. იმედია, ეს მომავალი საზოგადოება მაინც მოუღებს ბოლოს განხეთქილებას...

ა. გ—ლი.

ჩენდა,—მაშინ ეს „ნაპარევი ქალიც“ აღმოჩნდა მ. გ—თან და ქმარს დაუბრუნდა. სოფლელთ რომ ასეთ საშუალებისათვის არ მიემართნათ, არამც თუ სარჩო-საბადებელს, ცოლებსაც არავის შეარჩენდნენ.

საქმის მცოდნე.

ს. მათხოჯი (იმერეთი). მათხოჯი და ახლომახლო მდებარე სოფლები ძლიერ შეავიწროვა სიმინდის სიძვირემ, რის გამო დიდი ვალი დაიდეს. ზოგმა უკანასკნელი ხარიც გაჰყიდა, რადგან სასესხებელი ფული ვერსად იპოვნა. ახალის მოსავლით ყველამ სული მოიბრუნა. შედარებით წარსულ წლებთან მოსავალიც უკეთესი იყო, მაგრამ წლის სარჩო მაინც უმეტესობას არ მოუვიდა (სამყოფი მიწები არა აქვთ და სხვისას სანახევროთ მუშაობენ), ამიტომ ისევ ის აუტანელი მომავალი მოელით: სიმინდის სიძვირე, უფულობა და სხვა. წარსულ წელს სიმინდი იყიდებოდა ფუთი იქვს აბაზად. წელს კი შეიძლება უფრო ძვირაც გაიყიდოს, (რადგან მოსავალი ყველგან ერთნაირი არ იყო). სხვა მხრიდანაც გადმოტანა ძვირად ჯდება.

ჩვენსკენ ღორის ჭირი მძვინვარებს, რამაც დიდი ზარალი მისცა ისედაც ღარიბ გლეხებს. ბევრი ასუქებდა საშობაოდ ღორებს გასასყიდად, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ: ჭირმა დაჟლიტა. მკვდარ ღორებს მიწაში მარხავენ. ჩემს მეზობლისას დამარხული ღორი მიწიდან ძაღლებმა ამოიღეს და შესჭამეს. ძაღლებიც დაიხოცნენ. ეხლა შობას აღარ უყურებენ: ჰკლავენ ღორებს და ამარილებენ, მაგრამ დაკლულ ღორის ყიდვა საეჭვოა, რადგან აქეთ დაკლულ ღორებს ექიმები არა სინჯავენ და საჭიროა ამ გარამოებას ყურადღება მიექცეს.

აქეთ გამუდმებულა თოვლი და წვიმებია, რის გამოც ნაღალევიდან მომავალი მედილეჟნე მაქსიმე რუხაძე და სამი ცხენი მდინარე ნოღელაში დაიხრჩო.

კლასიონ მელაძე.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 17 დეკემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონისაზე ჩეკები	94,45
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	—
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო რენტა	91⅕
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	89¾
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	424
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	318
5% გირ. მომ. ფურც. სახ. სა.-მამ. ბან.	265¼
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	88⅜
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	226

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

განცხადებანი

იძლევა ქირით

მაღაზიები მოხერხებულ ადგილას, სახლი კუთხისაა, ავჭალის ქუჩაზე, იმ ხიდის პირდაპირ, რომელიც რკინის გზაზე გადადის და ნაძალადევისაკენ მიდის. იკითხეთ სახლის პატრონი ა. ბოტე. (3—1)

გამოვიდა და იყიდება ყველგან „წ.-კ. საზოგადოების“ მიერ გამოცემული

საქართველოს კალენდარი

ფასი 70 კაპ.

კალენდარი შეიცავს 620 გვ.—დასურათებულია 88 სურათით.—გარდა მრავალის წერილისა და ცნობისა კალენდარში მოთავსებულია მდიდარი სალიტერატურო განყოფილება (130 გვერდი): სამშობლოსადმი, ი. ევდოშვილისა,—უცხოეთიდან, მისივე.—ყურყუმალაები, აკაკისა.—ებრაელთა გოდება, მისივე.—საახალწლო სურათი, ნ. ნაკაშიძისა.—მადნის მთხრელები, კ. ჯაფარისა.—მაგდალინელის გოდება, განდეგილისა.—ჩემს მეგობრებს.—მწარე ღიღინი.—შილლერი.—ბატონყმობა.—გლეხების განთავისუფლება.—პ. სპენსერი.—ქალი და მისი განათლება.—სიონიზმი და სხ.-და-სხვა.

გამოვიდა და იყიდება აგრეთვე

1) კედლის კალენდარი ვრცელი, მრავალის ცნობებით ფასი 50 კაპ.

2) ქართული სიტყვიერების ისტორია ა. ხახანაშვილისა, ფასი 1—25.

3) ქართველ პოეტების რჩეული ლექსები, წ. II ფასი 25 კაპ.

4) პარნელი, ვ. ტარლესი ფასი 25 კაპ. (2—უ.—2)

№ 4711

ო-დე-ლი

(EAU DE LYS)

თეთრ გარდის, ფერ და ყვითელ ფერისა

ყველას მიერ ცნობილი, როგორც საუკეთესო საპირფარეშო საშუალება პირის დასაბანად, ახალგაზდობის შესანარჩუნებლად, ჭორფლის მოსაშორებლად და სახის გასაწმენდად.

მოთეთრო

რძის

საპონი

Sauon au lait de lys

მ: ტაჲ ნაზი

ვურჩევთ ყველას იხმაროს

კანის გასათეთრებლად და გასანაზებლად

ერთად ერთი მექარხნე

ფერდ. მიულჰენსი

კელნი რეინზე და რიგა.

მისის უდიდებულესობის კარის ვაჭარი.

დაიბეჭდა და ისყიდება

კალენდარი „ცოდნა“

◆ თითო ღირს ორ შაურათ ◆

ვინც ერთბაშად ასზე მეტს იყიდის, დაეთმობა ექვს-ექვს კაპეიკათ.

შოთა რუსთაველის

დიდი სურათი

დაიბეჭდა ფოტოტიპიით სუფთად ბრისტოლის მთელს თაბახზე

◆ **ღირს ათ შაურათ** ◆

ვინც ათს ერთბაშად ნაღდზე იყიდის, დაეთმობა ორ-ორ აბაზათ და ვინც ოცზე მეტს—35 კაპ.

ფოსტით მისამართი: Тифлисъ Книжн. магазинъ „цодна“.

სოსიკო მერკვილაძე. (12—7)

ექიმის შპინდლერ-ბარნაის

„მარიენბადის რედუქციური აბები“

სიმსუქნის წინააღმდეგ

და საუკეთესო სასაქმებელი საშუალება

თითო კოლოფში ჩალაგებულია 60 აბი.

◆ **კოლოფები წითელ ფერის** ◆

დართული აქვს აღწერა იმისა, თუ როგორ უნდა მოიხმაროთ საშუალება, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში. (3. 0—16)

ახლად გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრებით

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქრომჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავით, **ორი** ჰიქა არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—44)

ი. ს. ანანოვის მემკვიდრეთა

აჯამეთის მამულში ისყიდება:

1) დარჩენილი ნამყენი ადგილობრივის და ევროპიულის ჯიშისა,

2) ამერიკულ ვაზის ლერწი სხვა-და-სხვა ჯიშისა: Rupestris mont., Riparia gl. და Ripariax Rupestris101¹⁴.

3) ფესვიანი ნერგები ამერიკულ ჯიშის ვაზებისა.

ადრესი: Ст. Аджаметы З. К. Ж. Д. Управляющему имѣніемъ А. М. Татевосяну. (15—11)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

კ. თავართქილაძის

ახალი გამოცემანი:

1, „საყოველთაო სურათებიანი კალენდარი“ 276 გვერდი სალიტერატურო და სამეცნიერო განყოფილებანი, ფასი 20 კაპ.

2, „სურათებიანი კედლის კალენდარი“ მშვენიერის სხვა-და-სხვა ფერის ლამაზ კარდონით, ფასი 40 კ. პარტიით მყიდველს დაეთმობა 40%.

3, ე. ნინოშვილის სრული თხზულება ჯერ დაუბეჭდავი და დაბეჭდილი სულ 800 გვერდამდე, მშვენიერის მოვარაყებულ კალენკორის ყდაში მხოლოდ საახალწლოდ ფასი 2 მან.

უმთავრესი საწყობი გამომცემელთან. Тифлисъ К. Таварткиладзе. (5—1)

მაღაზია ტფილისში

კ. დ. კოზახიძისა

(შუა-ბაზარში, სოლომონოვის ქუჩის კუთხეში).

მიღებულია დიდ-ძალი საეკკლესიო ნივთები, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვალეულობა. მსურველს გაეგზავნება საქონელი ფას დადებითაც, მხოლოდ უნდა გამოგზავნოს მანეთზე 15 კაპ. ბეთ, მღვდლებს-კი გაეგზავნებათ უბეოდ, მხოლოდ წერილი უნდა იყოს შემოწმებული საეკკლესიო ბეჭედით. საქონელი გაეგზავნებათ იაფ-ფასათ. (20—6.—13)

КАКАО

ვინც ერთხელ გასინჯავს

კაკაოს ვან-გუტენს,

დარწმუნდება, რომ იგი შეიცავს ყველა სასურველ თვისებას. სასიამოვნო გემოსია, ადვილად იხსნება, ამაგრებს და ახალისებს ორგანიზმს, ადვილი მოსანელებელია და ძალიან ყაირათიანი. მდიდარი ვერ ნახავს ამაზე უკეთესს, ღარიბი უფრო იაფ კაკაოს. ამაზე არითქმის: იაფია, მაგრამ უხეიროო, პირიქით: ძვირი არ არის, მაგრამ კარგი კია. ეჭვს გარეშეა, რომ კაკაო **ვან-გუტენისა** საუკეთესო ყოველ დღიური სასმელია. (1—მც.—1)

Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія)

ВАНЪ-ГУТЕНА

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრ. ნიეს ახლოს. (წ.—176—94)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქ., № 27, ტელეფ. 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.



სადღესასწაულო საჩუქარი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში **„ქართველ ქალთა წრის“** მიერ გამოცემული ქართული ხალხური

„ზღაპრები“

წიგნი დასურათებულია მხატვრის **ო. შმერლინგის** მიერ, დიდის ფორმატისაა და შეიცავს 160 გვ. ფასი 1 მ. 30 30 კ.

ამ წიგნის შესახებ. ქართულ გაზეთებში დაბეჭდილია: „რედაქციამ მიიღო მშვენიერი ახალი ქართული წიგნი „ზღაპრები“ გამოცემა ქართველ ქალთა წრისა. ამ ახალ კრებულში მოთავსებულია ჩვიდმეტი ხალხური ზღაპარი და ყველა ზღაპარი დასურათებულია მხატვრის ბ-ნ შმერლინგის მიერ. წიგნი ძალიან დიდის ფორმატისაა, სქელ ქაღალდზედ მეტად სუფთად და კარგად არის დაბეჭდილი. საზოგადოთ „ზღაპრები“ საუცხოვო გამოცემაა და მშვენიერი საჩუქარი იქნება ბავშვებისათვის განსაკუთრებით ამ დღესასწაულების დროს. სურათებზე არას ვამბობთ, რადგან მკითხველებმა უკვე იციან, ბ-ნ. შმერლინგი რა მშვენიერად ჰხატავს ჩვენებურ ტიპებს. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ აგრეთვე წიგნის სიიფე. ამოდენა და ასე კარგათ გამოცემული რუსული წიგნი შეუძლებელია, რომ სამ მანეთ ნაკლებ გაიყიდოს. ვურჩევთ ყველას, ვისაც-კი ბავშვები ჰყავს, შეიძინონ ეს წიგნი. („ცნობ. ფურც. № 2698).

...„ეს ისეთი წიგნია, რომ ყველა შეძლებულ ოჯახს მუდამ მაგიდაზედ უნდა ედოს, თუ მცირეოდენი სიყვარული მაინც შერჩენია თვისის მშობლისა და აღმზრდელის ერისა. იმ ზღაპრებში ამ ერის გულის ნადებია, მისი სულია შიგ ჩაქსოვილი, მისი ზნე და ხასიათი, ადათი და ჩვეულებაა გამოთქმული. ქართველთა ქალთა გუნდმა საუცხოვო ნობათი მიართვა ამ საახალწლოდ ქართველ საზოგადოებასა... იმედია სიამოვნებით შეიძენენ ამ მშვენიერს წიგნს.“ (ივერია № 285).

◆ ყურადღება მიაქციეთ საქარხნო მარკას: „მწერალი ამური“. ◆

სასარგებლო საჩუქარი



შობისათვის

მიღებულია მრავლად გრამოფონის ფირფიტები სულ ახალის სიმღერებისა. სიმღერები ათასნაირია სხვა-და-სხვა ენაზე.

ფასები იაფებია

საკონცერტო მემბრონები 3 მანეთი და უფრო მეტი.

ტფილისი—გაიგანტი

სააქციონერო საზოგადოება

გრამოფონი

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი თეატრთან № 69

ФАБРИЧНЫЙ ЗНАКЪ
TRADE MARK

საქარხნო მარკა.

აპარატებისა და ფირფიტების ყიდვის დროს ყურადღება მიაქციეთ საქარხნო მარკას „მწერალი ამური“.

Доз. цен. Тифлисъ, 20 декабря 1904 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.